პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოდის 38-ე წელი

№ 275 (10972) | პარასკევი, 22 ნოემბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

ყველაფერი გავაკეთოთ საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის

სოციალიზმის დიად ქვეყანაში მშრომელი მასების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთავარი საზრუნავია. პარტიისათვის არ არსებობს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა. ჩვენი ინდუსტრიის გადამწყვეტი დარგების ზრდა და სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა მიმართულია იქითკენ, რომ მნიშვნელოვნად ავამაღლოთ ხალხის ცხოვრების დონე, მივაღწიოთ საბჭოთა ადამიანების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა უფრო სრულ დაკმაყოფილებას.

1957 წლის 6 ნოემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა: „ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როცა საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის შედეგად მიღწეულია სახალხო მეურნეობის განვითარების მაღალი დონე, შექმნილია საჭირო პირობები მშრომელთა კეთილდღეობის უფრო სწრაფი ტემპებით გაუმჯობესებისათვის. დარწმუნებული ვართ, რომ ამ ამოცანას ისევე წარმატებით გადავწყვეტთ, როგორც ვწყვეტდით ყველა ამოცანას, რომლებსაც პარტია და საბჭოთა სახელმწიფო სახავდნენ“.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის შედეგად განუწყვეტლივ ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება ჩვენი ქალაქები და მუშათა დაბები, დღითიდღე უმჯობესდება მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურება. უკანასკნელ წლებში დიდი გაქანება მიიღო საბინაო მშენებლობამ. ფართოვდება კომუნალურ საწარმოთა მშენებლობა, დიდდება სამუშაოთა მოცულობა საცხოვრებელი სახლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის, ქალაქების კეთილმოწყობის დარგში. ფართო განვითარება ჰპოვა საქალაქო ტრანსპორტმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ ოცტახნის წინათ გამართულმა პლენუმმა განიხილა ჩვენს რესპუბლიკაში საბინაო და კომუნალური მშენებლობის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი. პლენუმმა დიდი ყურადღება მიაქცია მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებს. როგორც პლენუმზე ითქვა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების დარგში მოპოვებულია უდიდესი წარმატებანი. ყოველწლიურად ასობით მილიონი მანეთი იხარჯება საქალაქო მეურნეობის განვითარებისათვის, ქალაქების, რაიონული ცენტრების, მუშათა დაბების კეთილმოწყობისათვის. დღითიდღე ძლიერდება საბინაო მშენებლობის ტემპი.

მთავარი ახლა ის არის, რომ გონივრულად გამოვიყენოთ გამოყოფილი სახსრები და ადგილობრივი შესაძლებლობანი, ფართოდ გავშალოთ მუშაობა კომუნალურ საწარმოთა მშენებლობისათვის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ კომუნალური მეურნეობის განვითარება ჯერ კიდევ დიდად ჩამორჩება მოსახლეობის მზარდ მოთხოვნებს.

ავიღოთ, მაგალითად, საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი — ქალაქი ქუთაისი. მისი მოსახლეობა განუწყვეტლივ იზრდება, ხოლო მთელი რიგი კომუნალური საწარმოები სრულად ვერ აკმაყოფილებენ მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს. ქალაქის წყალსადენი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ქალაქში აშენდა კარგი აბანო, სამრეცხაო, მაგრამ მათს მუშაობას მხოლოდ ერთი დაბრკოლება გადაეღობა წინ. ეს არის... წყლის უქონლობა. როგორც ჩანს, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი არადაშაკმაყოფილებლად იბრძვიან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში არნახული გაქანება მიიღო საბინაო მშენებლობამ. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ ქალაქებში, როგორც, მაგალითად, თბილისში, მწვავედ იგრძნობა ბინების ნაკლებობა. ზოგან არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საცხოვრებელი ფონდისა და კომუნალურ საწარმოთა რემონტი.

ჩვენს ქალაქებში ჯერ კიდევ იგრძნობა აბანოების, სამრეცხაოების, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატების ნაკლებობა. ისეთ დიდ ქალაქში, როგორიც თბილისია, არც ერთი სამრეცხაო არ არის მოსახლეობის მომსახურებისათვის. საკმარისი სასტუმროები არ არის ბათუმში, სოხუმში და სხვა ქალაქებში.

აღსანიშნავია, რომ მშენებლობის გაჭიანურების შემთხვევები ყველაზე უფრო იგრძნობა კომუნალური მეურნეობის ობიექტებზე. კომუნალური კაპიტალური მშენებლობისათვის გათვალისწინებული თანხები აუთვისებელი რჩება. განა შეუწყნარებელი არ არის, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ხელმძღვანელები (ტრესტის მმართველი ამხ. ნ. გიორგაძე) ურიგდებიან მაღარო ახალ ითხვისში (ციათურა) საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მშენებლობის გაჭიანურებას?

ასევე აფერხებს კომუნალურ ნაგებობათა მონტაჟს სანტექმონტაჟის ტყიბულის კანტორა. კანტორის მუშაკთა და კერძოდ მისი უფროსის ამხ. ს. ბასილაიას მოუქნელობისა და დაუდევრობის შედეგად მესამე წელია ჭიანურდება ცენტრალური გათბობის მეორე რიგის მშენებლობის სამონტაჟო სამუშაოები.

ზოგიერთ ქალაქში არის ნაკლოვანებანი მოსახლეობის ელექტროენერგიით, სათბობით მომარაგებაში, არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული კომუნალური აბანოების, სამრეცხაოების, საპარიკმახეროების მუშაობა. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან გადაჭრით აამაღლონ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების პასუხისმგებლობა საქალაქო მეურნეობისა და ვაჭრობის მდგომარეობისათვის.

საბჭოთა ადამიანების სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილების ამოცანა მოითხოვს გაფართოვდეს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელი. საჭიროა დიდ ქალაქებში მოეწყოს მექანიზებული ფაბრიკა-სამრეცხაოები, სარემონტო საწარმოები, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები. მნიშვნელოვნად უნდა გავაფართოოთ სარემონტო-საყოფაცხოვრებო საწარმოთა ქსელი, განსაკუთრებით რესპუბლიკის მთიან რაიონებში.

განსაკუთრებული ყურადღებისა და მხარდაჭერის ღირსია მახარაძის რაიონის მშრომელთა ინიციატივა, რომლებმაც შეიმუშავეს კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობის სამწლიანი გეგმა და მოუწოდეს რესპუბლიკის მშრომელებს ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება კულტურული და საყოფაცხოვრებო მშენებლობის დარგში. ეჭვი არ არის, რომ ადგილობრივი საბჭოები და სამეურნეო ორგანიზაციები მხურვალედ დაუჭერენ მხარს მახარაძელთა ამ შესანიშნავ ინიციატივას, გააუმჯობესებენ და გაფართოებენ საყოფაცხოვრებო საწარმოთა მშენებლობას.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან სისტემატურად იზრუნონ კომუნალური და სხვა საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა შეუფერხებელი, გამართული მუშაობისათვის, გულისხმიერი დამოკიდებულება გამოიჩინონ მშრომელთა საჭიროებებისადმი, პრაქტიკულად განახორციელონ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ დასახული ამოცანები.

საბჭოთა ადამიანების მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ყველა ორგანიზაციის ღვიძლი საქმეა. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის!

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წევრთა შეხვედრა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან და საბჭოთა კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებთან

20 ნოემბერს კრემლის დიდი სასახლის ეკატერინეს დარბაზში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის მეთაურობით, რომელიც სსრ კავშირში ჩამოვიდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ზეიმზე, შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის ხელმძღვანელებს, პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმომადგენლებს.

შეხვედრაში, რომელმაც განსაკუთრებული გულთბილობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა, მონაწილეობდნენ ამხანაგები ნ. ი. ბულგანინი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. ბულგანინი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, მ. გ. პერვუხინი, სსრ კავშირის მინისტრები და მარშლები, აკადემიკოსები, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, პარტიული მოღვაწეები, მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, ჟურნალისტები.

მოსკოვიდან გაემგზავრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია

მოსკოვის მშრომელთა მრავალრიცხოვანი წარმომადგენელი შეიკრიბა 20 ნოემბერს გვიან საღამოს ვნუკოვოს აეროდრომზე; აქ ისინი გულითადად და გულთბილად გამოეთხოვნენ დიდი მოძმე ხალხის წარმომადგენლებს — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წევრებს. ეს დელეგაცია, რომელსაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ამხანაგი მაო ძე-დუნი მეთაურობს, მოსკოვში იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით და მონაწილეობა მიიღო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავის დღესასწაულში.

ჩინელი მეგობრები გააცილეს ამხანაგებმა ნ. ი. ბულგანინმა, ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ა. ბულგანინმა, ა. ი. მიქოიანმა, მ. ა. სუსლოვმა, ე. ა. ფურცევამ, ნ. ს. ხრუშჩოვმა, ნ. მ. შვერნიკმა, ა. ნ. კოსიგინმა, მ. გ. პერვუხინმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ შ. მ. არუშანიანმა, სსრ კავშირის მინისტრებმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ამხანაგი მაო ძე-დუნი და მისი თანამგზავრები ავიდნენ საჰაერო ხომალდზე „ტუ-104“. შეკრებილებმა ისინი გააცილეს გულითადი, მეგობრული სურვილებით. 22 საათსა და 30 წუთზე თვითმფრინავი ჰაერში ავიდა. (საკდესი).

ამხანაგ მაო ძე-დუნის დეპეშა

ძვირფასნო ამხანაგო ხრუშჩოვ, ამხანაგო ვოროშილოვ, ამხანაგო ბულგანინ!

იმ მომენტში, როცა ჩვენ ვტოვებთ დიდი საბჭოთა კავშირის მიწაწყალს, ჩინეთის დელეგაციის წევრი ყველა ამხანაგის სახელით ერთხელ კიდევ გულითად მადლობას გიძღვნით თქვენ და თქვენი სახით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა ხალხს ჩვენი მოწვევისათვის ზეიმზე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავის გამო, თქვენს დიდ ქვეყანაში მოწვევისათვის, ჩვენი უაღრესად გულთბილი მიღებისათვის, ჩვენს ნიმართ და მთელი ჩინელი ხალხის მიმართ ღრმა ძმური მეგობრობის გრძნობებისათვის.

ნება მიბოძეთ ჩინეთის დელეგაციის სახელით, მთელი ჩინელი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით ჯანმრთელობა ვუსურვო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელ ამხანაგებს, ვუსურვო საბჭოთა ხალხს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწიოს კომუნიზმის მშენებლობაში და მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებაში, ვისურვო, რომ ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დიადი მეგობრობა მარადიულად მტკიცდებოდეს და განუხრელად ვითარდებოდეს.

მაო ძე-დუნი

1957 წ. 21 ნოემბერი.
ქ. ირკუტსკი

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია

21 ნოემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომის თავმჯდომარის ჰარი პოლიტისა და დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომის გენერალური მდივნის ჯონ ბეტანის შემადგენლობით; დელეგაცია მოსკოვში იმყოფება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით.

საუბარს დაესწრო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ბ. ნ. პონომარიოვი.

მიღების დროს გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი.

(საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი კიმ ირ სენთან

21 ნოემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარესთან, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარესთან ამხანაგ კიმ ირ სენთან.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხანაგმა კიმ ჩან მანმა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხანაგმა ნამ ირმა, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამხანაგმა ა. მ. პუზანოვმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა.

საუბარი მიმდინარეობდა გულითადობისა და გულწრფელი მეგობრობის სულისკვეთებით. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი ხო ში მინთან

21 ნოემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი ვიეტნამის მშრომელთა პარტიის თავმჯდომარესთან, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტთან ამხანაგ ხო ში მინთან.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მ. გ. ზიმიანინმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ ი. ვ. ანდროპოვმა.

საუბარი გულითად, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

(საკდესი).

მოსკოვიდან გაემგზავრა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია

21 ნოემბერს მოსკოვიდან სოფიაში გაემგზავრა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას იღებდა ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში. დელეგაცია საბჭოთა კავშირში იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით.

ბულგარეთის დელეგაცია გააცილეს ამხანაგებმა ნ. ი. ბულგანინმა, ო. ვ. კუუსინენმა, სსრ კავშირის მინისტრებმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ტოდორ ჟივკოვმა სიტყვა წარმოთქვა მიკროფონთან.

თბილისში ჩამოვიდა ჩინეთის სამხედრო დელეგაცია

გუშინ, 21 ნოემბერს საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა ჩინეთის სამხედრო დელეგაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილისა და თავდაცვის მინისტრის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მარშალ პინ დე-ხუაის მეთაურობით. მასთან ერთად ჩამოვიდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მარშალი ე ძიან-ინი, არმიის გენერლები სუ იუი, ტან ჯენი, სიუი გუან-და, უფროსი ადმირალი სიაო ძინ-გუანი, გენერალ-პოლკოვნიკები ლიუ ია-ლოუ, ხუნ სიუე-ჯი, ჩენ სი-ლიანი, ლიუ ჯენი, გენერალ-ლეიტენანტები ხან ჯენ-ძი, ლიუ ძი-ძიანი, სიაო სიან ჟუნი და ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მთელი რიგი ოფიცრები.

ამავე დროს ჩამოვიდნენ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები არმიის გენერალი ვ. ვ. კურასოვი და გენერალ-პოლკოვნიკი ნ. ი. ტრუფანოვი, რომლებიც დელეგაციას ახლავან.

ალისფერი ალმებით, წითელი ქსოვილებით მორთული თბილისის აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი კ. კ. როკოსოვსკი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. დ. დუმბაძე, გენერალ-ლეიტენანტი ა. ნ. ინაური, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი. პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-მაიორი დ. ა. ივაშჩენკო. ოლქის სარდლობის წარმომადგენლები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, პრესის წარმომადგენლები.

დამსწრენი გულთბილად მიესალმნენ მარშალ პინ დე-ხუაის და დელეგაციის წევრებს, რომელსაც იგი მეთაურობს, და მეგობრულად ჩამოართვეს მათ ხელი.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ კ. კ. როკოსოვსკის თანხლებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილემ და თავდაცვის მინისტრმა მარშალმა პინ დე-ხუაიმ ჩამოუარა საპატიო ყარაულს მწყობრს სტუმრები, რომლებსაც მხურვალედ მიესალმნენ აეროდრომზე მყოფი საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, ქალაქისაკენ გაემართნენ.

დღის მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირის მარშალმა კ. კ. როკოსოვსკიმ ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა პატივსაცემად გამართა სადილი, რომელმაც ძმური, გულითად ვითარებაში ჩაიარა. სადილზე იყვნენ ჩინეთის სამხედრო დელეგაციის წევრები მარშალ პინ დე-ხუაის მეთაურობით.

სადილზე იყვნენ ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, ი. ს. დოლიძე, გ. ი. ქადაგიძე, არმიის გენერალი ვ. ვ. კურასოვი და გენერალ-პოლკოვნიკი ნ. ი. ტრუფანოვი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის წარმომადგენლები.

საბჭოთა კავშირის მარშალი კ. კ. როკოსოვსკი გულთბილად მიესალმა ჩინელ მებრძოლ მეგობრებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომართა სახელით, დაახასიათა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მარშალ პინ დე-ხუაის დიდი სამხედრო დამსახურება.

სადილის დროს სიტყვა წარმოთქვა ვ. პ. მჟავანაძემ, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მთავრობისა და მთელი ქართველი ხალხის სახელით გულთბილად მიესალმა დიდი ჩინელი ხალხის წარმომადგენლებს. მან გადასცა სალამი ყველა ჩინელ კომუნისტს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს მაო ძე-დუნს, მთელ ჩინელ ხალხს.

ამხ. მჟავანაძემ დღეგრძელობა უსურვა ბრძოლებში გამობრძმედილ ჩინეთის დიად კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, დღეგრძელობა უსურვა ამხანაგ მაო ძე-დუნს, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხთა ურღვევ მეგობრობას.

საპასუხო სიტყვაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა პინ დე-ხუაიმ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, ამხანაგ მაო ძე-დუნის სახელით სალამი გადასცა და ყოველივე საუკეთესო უსურვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ მთავრობას, ქართველ ხალხს.

— ჩინეთის შეიარაღებული ძალები, — თქვა პინ დე-ხუაიმ, — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო მანქანის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. ისინი ფხიზლად დგანან ჩინელი ხალხის მშვიდობიანი შრომის საგუშაგოზე. ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ბურჯის — საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ძლავრი შეიარაღებული ძალების მეოხებით, რომლებიც მზად არიან, თუ საჭიროებამ მოითხოვა, გამანადგურებელი დარტყმა აგებინონ ყოველ აგრესორს, ომის გამჩაღებელთა ბრიკები ჩაიფუშება.

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის არმიების ძალისა და ძლიერების, უძლეველობის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენენ ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიები. ჩინელი ხალხი და საბჭოთა ხალხი, ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები მუდამ მჭიდროდ დარაზმული იყვნენ და იქნებიან თავიანთი კომუნისტური პარტიების გარშემო. მსოფლიოში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს დაარღვიოს ეს მჭიდრო დარაზმულობა და ერთიანობა, ჩვენი ურყევი მეგობრობა. ჩვენ გზას გვიჩვენებს საერთო საიმედო კომპასი — მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეები.

დასასრულ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა მარშალმა პინ დე-ხუაიმ წარმოთქვა ჩინელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის მჭიდრო დარაზმულობისა და ძმური მეგობრობის, ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მჭიდრო თანამეგობრობის სადღეგრძელო, დღეგრძელობა უსურვა საბჭოთა კავშირს კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა ქვეყნის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს ამხანაგებს ხრუშჩოვს, ვოროშილოვს და ბულგანინს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს საბჭოთა კავშირის მარშალ მალინოვსკის, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ როკოსოვსკის.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მარშალმა ე ძიან-ინმა. მან გამარჯვება უსურვა მამაც საბჭოთა მეომრებს, რომლებიც თავიანთი დიდი სამშობლოს უშიშროების საგუშაგოზე დგანან, ბედნიერი ცხოვრება უსურვა ქართველ ხალხს, დიდი მარქსისტ-ლენინელის ი. ბ. სტალინის სამშობლოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა თავის სიტყვაში ილაპარაკა ჩინელი ხალხის უდიდეს გამარჯვებებზე, რომლებიც მან მოიპოვა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ მაო ძე-დუნის მეთაურობით. ამხ. ჯავახიშვილმა დღეგრძელობა უსურვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილეს ჯუ დეს, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარეს ლიუ შაო-ცის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერს ჯოუ ენ-ლაის.

ხალამოს ჩინეთის დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს თბილისი. ამის შემდეგ ისინი მიეწვიეს კონცერტზე ოპერცერთა საოლქო სახლში. საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სტუმრებზე.

საქართველოს დედაქალაქის მცხოვრებნი ყველგან მხურვალედ და მეგობრულად ხვდებოდნენ გმირი ჩინელი ხალხის წარმომადგენლებს. (საკდესი).

* * *

სურათზე: ჩინეთის სამხედრო დელეგაციის შეხვედრა თბილისის აეროდრომზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მარშალი ე ძიან-ინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი მარშალი პინ დე-ხუაი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი კ. კ. როკოსოვსკი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ვ. პ. მჟავანაძემ მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე და თავდაცვის მინისტრი მარშალი პინ დე-ხუაი

21 ნოემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიიღო ჩინეთის სამხედრო დელეგაციის წევრი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე და თავდაცვის მინისტრი მარშალი პინ დე-ხუაი.

მიღების დროს გაიმართა გულითადი, მეგობრული საუბარი. (საქდესი).

რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე

კონკრეტულად, საქმის ცოდნით ვუხელმძღვანელოთ მეცხოველეობას

ალპური საძოვრები ხელსაყრელ პირობებს ქმნიან მესტიის რაიონში მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობისათვის. რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს პარტიის XX ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. 15 ნოემბრისათვის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით. გადაჭარბებით არის გადაღებული წველადობის წლიური დავალება, საშუალოდ ერთ ძროხაზე 900 კილოგრამის ნაცვლად მიღებულია 912 კილოგრამი რძე. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეადგენს 51 კილოგრამს.

უკანასკნელ ხანებში მრავალი ღონისძიება განხორციელდა პარტიული აპარატის გარდასაქმნელად, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სოფლის მეურნეობისადმი, კერძოდ, მეცხოველეობისადმი ხელმძღვანელობა. მეტი ყურადღება ექცევა შრომის სწორად მოწყობას, ბრიგადებსა და ფერმებში შრომის დისციპლინის განმტკიცებას, საკოლმეურნეო წარმოებაში მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვას.

ამას წინათ გამართულმა რაიონულმა პარტიულმა კონფერენციამ შეაჯამა რაიონის ეკონომიკისა და კულტურის დარგში მიღწეული წარმატებანი და გამოაშკარავა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები. მთავარი, რაზეც განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება მომხსენებელმა — რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ს. ჭკადუამ და სიტყვებით გამოსულმა დელეგატებმა — ეს იყო მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საკითხები. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ, მართალია, რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს მეცხოველეობის სულადობისა და წველადობის ზრდის გეგმები, მაგრამ ეს მოხდა მოწინავე კოლმეურნეობების მეშვეობით.

რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები სათანადო მუშაობას არ ეწევიან ფერმების გამოცდილი კადრებით განმტკიცებისათვის, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას, ხშირად ირღვევა კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების პრინციპი, არ ხდება ყოველთვიური ავანსების გაცემა.

მომხსენებელმა და დელეგატებმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, რომ გასულ წელთან შედარებით კოლმეურნეობები წელს უკეთ მოემზადნენ პირუტყვის გამოზამთრებისათვის. რაიონში დამზადებულია 81.134 ცენტნერი თივა გეგმით გათვალისწინებული 80.000 ცენტნერის ნაცვლად. გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე სილოსის, ჩალისა და ნამჯის დამზადების გეგმები.

განიხილავდნენ რა რაიკომის საანგარიშო მოხსენებას, დელეგატები მიუთითებდნენ, რომ საჭიროა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის მეთოდების შემდგომი სრულყოფა, კომუნისტებისა და ყველა მშრომელის კიდევ უფრო მჭიდროდ დაკავშირება იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს პარტიის მიერ დასახული ამოცანა — დაეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

კონფერენციაზე დიდი ადგილი დაეთმო მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საკითხებს. როგორც რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. ჩარკვიანმა განაცხადა, განსაკუთრებით ბევრი ნაკლოვანებაა სკოლების, საავადმყოფოებისა და ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობაში. არ შეიძლება არ აღინიშნოს, — თქვა მან, — რომ სუსტად გვეხმარება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. რაიონის მთელ რიგ სოფლებში არა გვყავს ექიმები. ცუდად მუშაობს კავშირგაბმულობის რაიონული განყოფილება. მას საკმაო რაოდენობით არა აქვს აპარატები და ხელსაწყოები. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი ამხ. გ. ქრისტესაშვილი კი მხოლოდ დაპირებებს იძლევა.

დელეგატებმა თავიანთ გამოსვლებში მკაცრად გააკრიტიკეს აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკები, რომლებიც ცუდად იცნობენ რაიონის სოფლის მეურნეობის ეკონომიკას და მის შესაძლებლობებს, იშვიათად ჩამოდიან ადგილზე.

მომხსენებელი და კამათში გამოსული დელეგატები ნაკლებად შეეხნენ იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს, მაშინ როცა მესტიის რაიონში საგაგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას. მეცხოველეობისა და მემინდვრეობის ბრიგადებში აგიტატორების დიდი ნაწილი არაფერს არ აკეთებს, ასეა, მაგალითად, მესტიის, წვირმის, იდლიანის, ეცერის. ბეჩოსა და ხაიშის კოლმეურნეობებში, დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული ლექციური პროპაგანდა, ზოგ სოფელში თვეობით არ იკითხება ლექციები და პოლიტიკური მოხსენებები. პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას წელს 205 ლექცია უნდა მოეწყო, ნამდვილად კი წაკითხულია მხოლოდ 128 ლექცია. იდეოლოგიური მუშაობის შესუსტების პირდაპირი შედეგია ის, რომ ახალგაზრდობის ერთი ნაწილი თავს არიდებს საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას. სამწუხაროდ, ყოველივე ამის შესახებ ცოტა ითქვა კონფერენციაზე.

კონფერენციამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, რაიონის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. კონფერენციამ აირჩია პარტიის რაიონული კომიტეტის ახალი შემადგენლობა და საქართველოს კპ XVIII ყრილობის დელეგატები.

• • •

რაიონული კომიტეტის პლენუმმა პარტიის მესტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ს. ჭკადუა, მეორე მდივნად — ამხ. ა. მირლანი.

ბ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ

კონსერვები გეგმის გადამეტებით

გურჯაანი. (საკ. კორ.). საკონსერვო ქარხანაში ათობით სახელწოდების სხვადასხვა კონსერვი მზადდება. მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ყამირი მიწებიდან, ურალიდან გამოგზავნილი წერილებით მომხმარებლები მადლობას უთვლიან გურჯაანელებს მაღალხარისხოვანი კონსერვების დამზადებისათვის.

კონსერვის ქარხნის კოლექტივი დღითიდღე აძლიერებს მუშაობას. წლიური გეგმა ვადაზე გაცილებით ადრე შეასრულეს. 15 ნოემბრისათვის გამოუშვეს 2.850 ათასი პირობითი ქილა მურაბა, კომპოტი, ჯემი და ხილფაფა, წლიური გეგმა კი 2.700 ათას ქილაზე მეტს არ ითვალისწინებდა.

დამხარისხებლები, მხარშავები, ჩამომსხმელები ენერგიის დაუზოგავად მუშაობენ. მუშები ი. ფილაური, ა. ასკილაშვილი, კ. აირაპეტოვი, ზ. ოთარაშვილი, ლ. ჭიაბრიშვილი, თ. და ჟ. ბახტურიშვილები დღიურ დავალებას 120-130 პროცენტით ასრულებენ.

საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვის პასუხად დამატებით 300 ათასზე მეტი პირობითი ქილა კონსერვის გამოშვება იკისრა.

მექანიზაციურთა წვლილი

ბორჯომი. (საკ. კორ.). მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კოლექტივმა მიმდინარე სამეურნეო წლის დავალებანი ვადაზე ადრე გაანაღდა. იგი ენერგიულად დაეხმარა რაიონის კოლმეურნეობებს თივის აღებასა და სილოსის დამზადებაში. მტს-ის კოლექტივმა ყველა სახის მიხედვით წლიური საწარმოო დავალება 1 ნოემბრისათვის 103 პროცენტით შეასრულა. შარშანდელთან შედარებით გაადიდეს კოლმეურნეობებში მექანიზაციის დონე, რამაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქა კოლმეურნეთა ფიზიკური შრომა და დაჩქარა სამუშაოები.

სატრაქტორო სამუშაოთა გეგმების შესრულებაში დაწინაურდა ის სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ს. ჯიოშვილი ხელმძღვანელობს, შრომაში თავი ისახელეს ტრაქტორისტებმა ა. აიწურაძემ, ა. მაღრაძემ, ო. მელიქიძემ და ა. მანუკიანმა.

ბორჯომელმა მექანიზატორებმა დიდი შრომითი აღმავლობით უპასუხეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვას და ახალი ვალდებულებები იკისრეს. ისინი ახლა თავდადებულად შრომობენ ტრაქტორებისა და მოსაბმელი იარაღ-მანქანების შესაკეთებლად, დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებს ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის განხორციელებასა და პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებაში.

რუსთავის ახალმშენებლობებზე

მას შემდეგ, რაც რუსთავის ბინათმშენებლებმა ქალაქის მარცხენა სანაპიროს შემორჩენილ ახალმშენებლობათა ობიექტებს ხარაჩოები ჩამოხსნეს, მათ მთავარ ასპარეზად მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადაჭიმული ველი გადაიქცა.

მშენებლებისაგან ძლიერული უკაცრიელი ტრამალი თანდათან უკან იხევს და მის ადგილს იჭერს უაღრესად კეთილმოწყობილი საცხოვრებელი კვარტალები, ახალი ქუჩები, სკვერები, სკოლები, მაღაზიები... ქალაქის ამ ნაწილში ნახევარ მილიონამდე კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები აშენდება, ამასთან 90 ჰექტარზე მეტი ფართობი ინდივიდუალური ხინების ასაგებად არის გამოყოფილი.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველოს კოლექტივმა საოკტომბრო დღესასწაულისათვის მარტო რუსთავის მეტალურგების ხაენქსპლოატაციოდ 2 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები გადასცა.

მიმდინარე წლის მესამე კვარტალის მაჩვენებელთა მიხედვით ბინათმშენებლები საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გამოვიდნენ, ხოლო ამჟამად ისინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მომართვით აღფრთოვანებულნი, პირველი ადგილისათვის იბრძვიან.

ბოლო ხანს განსაკუთრებით დაწინაურდა პირველი სამშენებლო უბნის კოლექტივი. საამაყო შრომით მაჩვენებლებს აღწევს ახალგაზრდა კალატოზი შ. ბექაური. წარჩინებული მშენებელი ყოველდღიურ დავალებას სამმაგად ასრულებს.

სურათზე: ახალგაზრდა კალატოზები შ. ბექაური (მარჯვენივ) და ვ. სადგომელაშვილი ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე.

ფოტო რ. მორჩილაძისა.

ახალი წიგნები

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა შემდეგი წიგნები:

ვ. ი. ლენინი — პარტიის ერთიანობის შესახებ, ტირაჟი 10.000, გვერდი 104, ფასი 1 მან.

დ. კრეიჟანოვსკი — დიდი ლენინი, ტირაჟი 10.000, გვ. 112, ფასი 1 მან. 50 კაპ.

ნ. შველიძე — პარტიის ბრძოლა უფლებისი გლეხობისათვის ოქტომბრის მომზადების პერიოდში. ტირაჟი 4.000, გვ. 284, ფასი 3 მან. 40 კაპ.

ს. ჩხარტიშვილი — რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში. ტირაჟი 5.000, გვ. 188, ფასი 3 მან.

გ. გასვიანი — კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკა ოქტომბრის რევოლუციის გატარების პერიოდში. ტირაჟი 4.000, გვ. 180, ფასი 3 მან. 35 კაპ.

ვ. სიფრაშვილი — ვ. ი. ლენინის მიერ ახალი ტიპის პარტიის შექმნა. ტირაჟი 3.000, გვ. 256, ფასი 3 მან. 70 კაპ.

თბილისის 1500 წლისთავისათვის

საინტერესო ნაშრომი ჩვენს დედაქალაქზე

მალე საქართველოს მშრომელები თავისი უძველესი დედაქალაქის — ჭაღარა თბილისის 1500 წლის იუბილეს ეზეიმებენ. ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოაქვეყნა ვახტანგ ხინკლაძის ენოგრაფიის ინსტიტუტის მიერ შესრულებული ნაშრომი „თბილისი“ (ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება).

წიგნის ცალკეული თავები დაწერეს: გ. გველესიანმა, დ. უკლებამ, ვ. კაკაბაძემ, ვ. ჯაოშვილმა, შ. მესხიამ, ნ. დეგიძემ, ვ. ბერიძემ, ა. თევზაძემ და ი. მიქელაძემ. წიგნის რედაქტორია აკადემიკოსი ა. ჯავახიშვილი.

ნაშრომი თბილისზე წარმოადგენს საქართველოს დედაქალაქის სერიოზულ კომპლექსურ, ეკონომიურ-გეოგრაფიულ გამოკვლევას. უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით საბჭოთა კავშირის მასშტაბით ქალაქის შესახებ ასეთი შრომა პირველია. გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერულ კოლექტივს დიდი მუშაობა გაუწევია მდიდარი ფიზიკურ-გეოგრაფიული, ისტორიული, სტატისტიკური, ეკონომიური მასალებისა და ლიტერატურული წყაროების დასამუშავებლად. ნაშრომი მკითხველს აცნობს თბილისის როგორც რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცენტრის მნიშვნელობას, მისი განვითარების საუცხოო პერსპექტივებს.

თბილისის მდადმოების ბუნებრივი პირობები და რესურსები დახასიათებულია წიგნის პირველ თავში, აქ დაწვრილებით არის განხილული ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოს ყველა ელემენტი, მისი სამეურნეო მნიშვნელობა.

მეორე თავი წარმოადგენს ქალაქის ისტორიულ ნარკვევს, სადაც ლაპარაკია თბილისის განვითარების ძირითადი ეტაპების შესახებ დაარსებიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. კარგად გაშუქებულია რუსეთთან საქართველოს შეერთების პროგრესული მნიშვნელობა.

შემდეგი თავი მიძღვნილია თბილისის მოსახლეობისადმი. ავტორი განიხილავს მოსახლეობის დინამიკას, მის ეროვნულ, სოციალურ სტრუქტურას, პროფესიულ შემადგენლობას, ხაზგასმით ნაჩვენებია, თუ რა ცვლილებები მოხდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოსახლეობის მატერიალური და კულტურული პირობების გაუმჯობესებაში.

წიგნის მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილი აქვს ქალაქის მრეწველობის დახასიათებას. აქ კარგად არის გადმოცემული თბილისის მრეწველობის განვითარების პერსპექტივა, სტრუქტურა, განლაგების თავისებურება, საწარმოო-ეკონომიური კავშირი ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან ეკონომიურ რაიონებთან. მოთხრობილია თბილისის გარეუბნის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების და მათი მნიშვნელობის შესახებ ქალაქის მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომარაგებაში.

სარეცენზიო ნაშრომში ვრცლად არის განხილული ქალაქის ტრანსპორტი, საწარმოოეკონომიური კავშირი, ვაჭრობა, კომუნალური მეურნეობა, კულტურა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა.

თბილისის გარეგნული სახისა და მისი შიდა გეოგრაფიული თავისებურებების შესახებ მოგვითხრობს წიგნის ერთ-ერთი თავი, სადაც დამაჯერებლად არის მოცემული ქალაქის ჩამოყალიბებისა და განვითარების რთული პროცესი.

ცალკეული თავები მიძღვნილია ქალაქის არქიტექტურისა და მისი განვითარების პერსპექტივებისადმი. წიგნს, რომელიც 435 გვერდს შეიცავს, დართული აქვს ბიბლიოგრაფია და თბილისთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტების ქრონოლოგია.

მეოდური თვალსაზრისით ნაშრომი სწორად არის აგებული და სავსებით ასახავს თბილისის როგორც სოციალურ-ეკონომიურ, ისე გეოგრაფიულ თავისებურებებს, მოცემულია ქალაქის მრავალფეროვანი ცხოვრების მეცნიერული ანალიზი. მკაფიოდ არის ნაჩვენები თბილისის როგორც საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცენტრის მნიშვნელობა, მისი საწარმოო-ეკონომიური კავშირი საბჭოთა კავშირის მსხვილ რაიონებთან.

ამ შრომის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ცალკეული საკითხები განხილულია ისტორიულ ასპექტში, რაც საშუალებას გვაძლევს პარალელები გავავლოთ ძველსა და ახალს შორის, უფრო ნაოლად დავინახოთ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიღწეული გრანდიოზული წარმატებანი. ამის საილუსტრაციოდ წიგნში ჩართულია გულმოდგინედ შედგენილი კარტოსქემები, დიაგრამები, ძველი და ახალი თბილისის ფოტოსურათები.

წიგნს ზოგიერთი ნაკლიც აქვს. აქ მოცემული სტატისტიკური მასალის ნაწილი მოძველებულია. მაგალითად, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა განხილულია 1939 წლის მონაცემებით, რაც, თავისთავად ცხადია, სრულ წარმოდგენას არ გვაძლევს დღევანდელი თბილისის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ. შრომაში შედარებით სუსტად არის მოცემული თბილისის როგორც უდიდესი სატრანზიტო კვანძის მნიშვნელობა. სქემატურია ქალაქთან დაკავშირებული ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხების გაშუქებაც.

საერთოდ წიგნი „თბილისი“ წარმოადგენს სერიოზულ ეკონომიურ-გეოგრაფიულ გამოკვლევას, რომელსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია როგორც სპეციალისტებისათვის, ისე თბილისის შესწავლით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

წიგნი ამ ცოტა ხნის წინათ გამოვიდა (ტირაჟი 2.000 ცალი), მაგრამ იგი ბაზარზე უკვე აღარ იშოვნება. კარგი იქნება, თუ ეს მეტად საინტერესო და საჭირო ნაშრომი ხელახლა გამოიცემა.

ნ. ნაბუღლია,
გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

აჯომუარი იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივი შეწყვეტისათვის

საუბარი საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ს. ტიხონოვთან

როგორც უკვე იუწყებოდა პრესა, ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში სტოკჰოლმში გაიმართა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სესია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ძალების წარმომადგენლებმა. ამ სესიის მონაწილეებმა მსოფლიოს ხალხებს მიმართეს მოწოდებით გააძლიერონ მოქმედება მშვიდობის დასაცავად, მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვისათვის. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება — ყველა ქვეყანაში ერთსა და იმავე დროს მოეწყოს ნახევართვიური ატომგულის იარაღის გამოცდის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურომ ამ გადაწყვეტილებით მოუწოდა ყველა ეროვნულ მშვიდობის დაცვის კომიტეტს ამა წლის ნოემბერში მოაწყონ სხვადასხვა. სახალხო მანიფესტაცია ატომგულის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტის სასარგებლოდ.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრეებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ამ მოწოდებას.

ამ დღეებში საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პრეზიდიუმმა მთელი რიგი რესპუბლიკების მშვიდობის დაცვის კომიტეტების წარმომადგენელთა და უცხოელი მეგობრების მონაწილეობით განიხილა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ეს მიმართვა და მხარი დაუჭირა მას. პრეზიდიუმმა მოუწოდა საბჭოთა საზოგადოებრივობას აქტიური მონაწილეობა მიიღოს ნოემბერში ნახევართვიური კამპანიის მოწყობაში იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას ქვეყნებს შორის შეთანხმება ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

მოსკოვში, ლენინგრადში, რიგაში, ტალინში, მინსკში, ბლმა-ატაში, თბილისში, ტაშკენტსა და საბჭოთა ქვეყნის ბევრ სხვა ქალაქში გაიმართება მშვიდობის მომხრეთა მასობრივი მიტინგები, მიძღვნილი ატომგულის იარაღის აკრძალვისათვის და მისი გამოცდის შეწყვეტისათვის ბრძოლისადმი. 22 ნოემბერს მოსკოვში გაიმართება ამ საკითხისადმი მიძღვნილი საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრება. მიტინგები ეწყობა მთელ რიგ დიდ სამრეწველო საწარმოებში, მათ შორის ქარხნებში „ნამგალი და ჩაქუჩი“, „კაუჩუკი“, კომბინატ „ტრიოხგორნაია მანუფაქტურაში“ და სხვაგან. კლუბებსა და კულტურის სასახლეებში გაიმართება ატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვისათვის ხალხთა ბრძოლისადმი მიძღვნილი საღამოები. მაგალითად, ასეთი საღამო გაიმართება ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ცენტრალურ ლექტორიუმში. ნახევართვიურის პერიოდში წაიკითხავენ ლექციებს.

ადგილებიდან მოსული ცნობები ცხადყოფენ, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდება ფართო გამოხმაურებას პოვებს სსრ კავშირის მშვიდობის მომხრეთა შორის.

ესტონეთის მშვიდობის დაცვის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მოაწყო სპეციალური გაფართოებული პლენუმი, რომლის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სტოკჰოლმის სესიის გადაწყვეტილებანი. პლენუმმა მოწოდებით მიმართა აგრეთვე ესტონეთის ყველა მშვიდობის მომხრეს სხვადასხვა ფორმით გამოხატონ თავიანთი მისწრაფება მშვიდობისადმი, მზადყოფნა მიაღწიონ ატომგულის იარაღისა და მისი გამოცდის სრულ აკრძალვას.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრეთა მიტინგების, კრებების მონაწილეები გამოთქვამენ განუხრელ მისწრაფებას იცხოვრონ მშვიდობით და მეგობრობით ყველა ხალხთან, გამოთქვამენ თავიანთ მისწრაფებას მიაღწიონ ატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვას. მაგალითად, ყაზახეთის ალმა-ატის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაართული მიტინგის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ისინი მხარს უჭერენ წინადადებას მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანთა ერთობლივ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რათა დაუყოვნებლივ აკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა და მზად არიან სხვა ქვეყნების მშვიდობისათვის მებრძოლთან ერთად განაგრძონ ბრძოლა ატომგულის იარაღის სრულ აკრძალვამდე.

საბჭოთა ადამიანები მიმართავენ აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციას წერილებით და დეპეშებით, რომლებითაც მისგან მოითხოვენ ხელი შეუწყოს იმას, რომ უსწრაფესად დაიდოს შეთანხმება ქვეყნებს შორის საცდელი ატომების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა იქნას პირველი ნაბიჯი ვანიარაღების მთელი პრობლემის გადაჭრის გზაზე, საერთაშორისო ვითარების შენელების გზაზე.

მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მოუწოდა მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებს ერთსა და იმავე დროს ერთობლივად იმოქმედონ ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ. ეს ერთობლივი მოქმედება რაზმავს ყველა ქვეყნის მშვიდობისათვის მებრძოლთ უფრო აქტიური ბრძოლისათვის ატომგულის იარაღის წინააღმდეგ. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრეებს, ისინი არ დაიშურებენ თავიანთ ღონისძიებებს ამ კეთილშობილური მიზნის განხორციელებისათვის, აქტიურად შეუწყობენ ხელს ყველა ქვეყანას შორის მთელი სადავო საკითხების მშვიდობიან გადაჭრას.

ყალბისმქნელები და მფაცებლები ხელს უშლიან მშენებლებს

დიდი მასშტაბის მშენებლობაა ტყიბულში, მაგრამ სამშენებლო სამუშაოები სრულდება ნელა, ზოგჯერ — დაბალხარისხოვნად, არის მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხების მოვისების, უნაყოფო ხარჯების გაწევის შემთხვევები. მაგალითად, ტყიბულშახტმშენის სამმართველოს დამხმარე საწარმოთა კანტორაში, რომელსაც გ. ოყროშიძე ხელმძღვანელობს, სახელმწიფო სახსრებს უყირათოდ ხარჯავენ. საშენ მასალათა ტრანსპორტირებაზე მომუშავეებთან დებენ სახელმწიფოსათვის აშკარად არახელსაყრელ ხელშეკრულებებს, შესრულებული სამუშაოების მიღებისას აღგენენ ყალბ აქტებს, განზრახ ბერავენ სამუშაოთა მოცულობას და ა. შ.

მოვიყვანთ რამდენიმე ფაქტს.

ტყიბულელი მშენებლებისთვის ქვიშა ყოველთვის მოჰქონდათ ამიერკავკასიის რკინიგზის გაგრის კარიერიდან. კუბმეტრი ქვიშა დამხმარე საწარმოთა კანტორას 6 მანეთი და 90 კაპიკი უჯდებოდა. 1956 წლის 10 დეკემბერს დამხმარე საწარმოთა კანტორის უფროსმა გ. ოყროშიძემ ტყიბულშახტმშენის სამმართველოს ტექნიკური მომარაგების განყოფილების მუშაკს ს. დოლიძეს დაუდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით გ. ოყროშიძემ იკისრა, რომ გაგრის კარიერიდან მშენებლობის ადგილზე ქვიშის მოტანის დასაჩქარებლად ს. დოლიძეს კუბმეტრზე გადაუხდიდა 3 მანეთს, აგრეთვე აუნაზღაურებდა მიმოსვლის ხარჯებს. ამრიგად, კუბმეტრი ქვიშის ღირებულება ხელოვნურად იქნა გადიდებული 9 მანეთსა და 90 კაპიკამდე ხელშეკრულების ძალით დამხმარე საწარმოთა კანტორიდან ს. დოლიძემ უკვე მიიღო 21.860 მანეთი.

ვინმე გ. კიკვაძეს იმავე გ. ოყროშიძემ დამხმარე საწარმოთა კანტორის სახელით დაუდო ხელშეკრულება, რომ თუ რკინიგზის საჩიხე ლიანდაგების წესივრულ მდგომარეობას უზრუნველყოფდა, თვიურ გასამრჯელოდ 400 მანეთს გადაუხდიდა. ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა აგვისტოს ბოლო რიცხვებში, მაშასადამე, ძალაშიც ამ დროიდან უნდა შესულიყო, მაგრამ გ. კიკვაძეს გასამრჯელო 1957 წლის 1 იანვრიდან გადაუხადეს. ამით გ. ოყროშიძემ და კანტორის მთავარმა ბუხგალტერმა დ. ძნელაძემ სახელმწიფოს 8.400 მანეთი წაგლეჯეს იმავე გ. კიკვაძეს 1957 წლის იანვარში დამხმარე საწარმოთა კანტორიდან მიღებული აქვს 590 მანეთი, ხოლო მარტში — 788 მანეთი. როგორც ბუხგალტერიის დოკუმენტებიდან ჩანს, პირველი თანხა გ. კიკვაძეს მისცეს რკინიგზის ლიანდაგზე გადასასვლელის მოწყობისათვის, მაგრამ იმავე დოკუმენტში მოყვანილი სამუშაოთა აღწერილობაში ნაჩვენებია, რომ გ. კიკვაძემ შეაკეთა რკინიგზის ლიანდაგი 800 გრძივი მეტრის მანძილზე, რისთვისაც მას ანაზღაურება რკინიგზის უწყებიდან ეკუთვნოდა. ცხადია, აქ სიყალბეა ჩადენილი.

დამხმარე საწარმოთა კანტორაში სახელმწიფო თანხების განიავების სხვა „მეთოდებსაც“ იყენებენ:

ათისთავ ა. ესაიაშვილის მითითებით შედგენილ იქნა სამუშაოთა შესრულების ტახელი, რომლის მიხედვით ნ. ცქიფურიშვილის მტვირთავთა ბრიგადამ, შემდგარმა თითქოს 7 კაცისაგან, ბეტონის ქარხანაში 2 ივლისიდან 28 ივლისამდე (თარიღები გადასწორებულია) ზედმეტ საათებში მუშაობით გამოიმუშავა 158 კაც-დღე და შეასრულა 7.825 მანეთის ისეთი სამუშაოები, როგორიც არის რკინიგზის ვაგონებიდან ქვიშის გადმოტვირთვა და მისი გადაადგილება 9 მეტრ მანძილზე, ტრანსპორტიორების 80 მეტრის მანძილზე გადატანა, ავტომანქანებზე ქვიშის დატვირთვა, ბრეშის გადაყრა და ა. შ. ეს რომ მტკნარი სიყალბეა, მტკიცდება იმით, რომ ივლისში თვით ნ. ცქიფურიშვილსა და მისი ბრიგადის წევრებს ყოველდღე თექვსმეტ-თექვსმეტი საათი აქვთ დაწერილი. დღედამეში კი 24 საათია. როგორ შეეძლო ბრიგადას ამ დროის გარდა კიდევ 158 კაც-დღე ე. ი. 1.264 საათი გადმოემუშავებინა.

ტყიბულშახტმშენის სამმართველოს დამხმარე საწარმოთა კანტორის მთავარმა ბუხგალტერმა დ. ძნელაძემ მოლარედ გააფორმა გაქნილი ადამიანი ვინმე ა. ჯიქია. მოლარე ა. ჯიქიამ „მუშაობა“ ასეთი კომბინაციით დაიწყო: გამოუძახა ელექტროშეინკლერს გ. ჩხიკვაძეს, ა. ნათელაძეს, გ. ნაჯარიანს და უთხრა:

— კანტორის ხელმძღვანელებს ფული სჭირდებათ. ჩვენ გამოგიწერთ ავანსს. საავანსო უწყისზე მხოლოდ ხელს მოაწერთ, ფულს კი ამჯერად არ მიიღებთ, სამაგიეროდ ამ თანხას აგინაზღაურებთ მიწერებით, ფიქციურ დავალებათა შედგენით. ხელმძღვანელებს მოიმადლიერებთ, თქვენ კი რა გენაღვლებათ.

გ. ჩხიკვაძე, ა. ნათელაძე და გ. ნაჯარიანი დოყლაპიები აღმოჩნდნენ, დაეთანხმნენ მოლარე ა. ჯიქიას და ხელი მოაწერეს საავანსო უწყისებში 3.600 მანეთის მიღებაზე, თუმცა ეს თანხა თვალითაც არ უნახავთ.

მიმდინარე წლის აგვისტოში ა. ჯიქიამ ბრიგადირს ნ. ცქიფურიშვილს ხელი მოაწერინა საავანსო უწყისში 2.000 მანეთის მიღებაზე, ნამდვილად კი მხოლოდ 1.000 მანეთი მისცა. ასევე ა. ჯიქიამ ხელი მოაწერინა დ. ფული არ მისცა შ. ქარქაშაძეს და ხუციშვილარე ა. ჯიქია აცხადებს, რომ ამ თანხებით დაფარულ იქნა სალაროში კანტორის უფროსის გ. ოყროშიძის დავალიანება.

ბუხგალტერიაში არის ელექტროშეინკლის ვ. ქასრაშვილის განცხადება მისთვის 800 მანეთის ავანსად მიცემის შესახებ. აქვეა გასავლის ორდერი, რომელიც გვაუწყებს ქასრაშვილის მიერ სალაროდან ამ თანხის მიღებას. განცხადებასა და გასავლის ორდერს „აშშვენებს“ კანტორის უფროსის გ. ოყროშიძისა და მთავარი ბუხგალტრის დ. ძნელაძის რეზოლუციები. ერთი სიტყვით, ფორმალურად გასავლის ორდერი სწორად არის გაფორმებული. მაგრამ... ვ. ქასრაშვილი აცხადებს, რომ მას 800 მანეთი არ მიუღია და ავანსის მისაღებად არავითარი განცხადება არ დაუწერია.

დამხმარე საწარმოთა კანტორას მრავალი დებიტორი ჰყავს. აღსანიშნავი ის არის, რომ თვითონ იმ

მოწინავე გამოცდილება — მასებს

მისი მაგალითი მისაბაძია



ბ. სომხიშვილი.

* * *

ყველაფრით ჩანდა, რომ „ნიშას“ მოვლა-პატრონობა არ აკლდა. ჯანსაღად გამოიყურებოდა, ბალანი ისე უბრწყინავდა, გეგონებოდათ, საგანგებოდ გაუპრიალესო.

თეთრხალათიან ქალს გაკრიალებული ვედრო ცურის ქვეშ დაედგა, პატარა სკამზე ჩამომჯდარიყო და რიტმულად უსვამდა თითებს ვარდისფერ ძუძუებზე, საიდანაც ჩხრიალით იდვრებოდა მსუქანი, ნელთბილი რძე, მოგვაგონდა ბავშვობაში გაგონილი: ოთხნი არიან, ტოლნი არიან, ჭალას ჩადიან, ჩაიმღერიან...

წველა რომ დამთავრდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მიხეილ ტუშურმა გვითხრა:

— გაიცანით ბაბალე სომხიშვილი, ჩვენი ფერმის მოწინავე მწველავი.

ბაბალემ ოფლიანი სახე შეიმშრალა და მორიდებულად შემოგვხედა.

— რამდენ რძეს გაძლევთ თქვენი „ნიშა“? — შევეკითხეთ.

— ოცდაშვიდ ლიტრს დღეში.

— ბევრი გაყავთ ასეთები?

— ათი მაბარია. წველადობაში „ნიშას“ სხვებიც არ ჩამორჩებიან, დღეში 24-26 ლიტრს იძლევიან „ციალა“, „გიშერა“ და „შვინდა“.

სახელგანთქმული მწველავები ჰყავს თიანეთის რაიონის სოფელ საყდრიონის მსხვილფეხა რქიანი საქონლის ფერმას, რომელსაც ირ. წიგნელაშვილი ხელმძღვანელობს. ფერმაში წლითიწლობით ზრდიან წველადობას, ამცირებენ პროდუქციის თვითღირებულებას,

გვსურდა დაწვრილებით გავცნობოდით საყდრიონელ მწველავთა გამოცდილებას, მისაწვდომი გაგვეხადა იგი მთის სხვა კოლმეურნეობებისათვის. ბაბალე სომხიშვილმა, რომელიც ოთხი წელიწადია მწველავად მუშაობს, შემდეგი მოგვითხრო:

— ფერმაში ორასი ძროხა გვყავს, აქედან გაუმჯობესებული ჯიშისაა 42, დანარჩენი ადგილობრივი პირუტყვია. პირადად მე მოსავლელად ჩაბარებული მყავს ველის წითელი და შვიცის ჯიშის ძროხები.

პროდუქტიულობის ზრდაში გადამწყვეტია პირუტყვის მოვლა-პატრონობა, როგორც ხედავთ, ჩვენ ფერმის საუკეთესო ბინა გვაქვს, რომელსაც დღეში სამჯერ ვასუფთავებთ. ბინაში არის კარგად მოწყობილი ბაგები, გვაქვს ელექტროგანათება. ზამთრობით თვითეულ ძროხას დღეში ვაძლევ 10 კილოგრამ სილოსს, ამდენსავე კონცენტრირებულ საკვებს, 10-12 კილოგრამ ჭარხალს და სამყოფ თივას. პირუტყვს დღეში სამჯერ ვარწყულებ. ბაგაში ყოველთვის არის ქვამარილი.

ზაფხულობით ძროხები საძოვარზე — მდინარე ძეძის სანაპიროზე გვყავს. პირუტყვის კარი კვება ასეთ ღროს დამოკიდებულია მწყემსის კეთილსინდისიერებაზე. მწყემსს თითარა გუშარაშვილს 20 ძროხა და 2 ბუღა აბარია, იგი მზრუნველობით უვლის პირუტყვს, თვითეულ ძროხას დამატებით აჭმევს 15 კილოგრამამდე ახალ თივას და სიმინდის მწვანე მასას. დილა-საღამოს ძროხებს ეძლევათ კოპტონისა და ჭატოს ნარევი, რასაც თბილ წყალში ვსწნით და ცოტაოდენ მარილს ვუმატებთ. შუადღისას, როცა ჩამოცხება, ძროხები ჩრდილიან ადგილას გადაგვყავს. დღეში 5-6-ჯერ ვარწყულებთ.

საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ ხბოს მოგებამდე 55 დღით ადრე ძროხების წველის შეწყვეტა კარგ შედეგს იძლევა. ასეც ვიქცევი. მაკე ძროხებს, რომლებმაც მალე უნდა მოიგონ, ყოველთვის საუკეთესო საკვებს ვურჩევ. მოგებამდე 10-15 დღით ადრე ძროხა გადამყავს სამშობიაროგანყოფილებაში, სადაც დღედაღამ ვმორიგეობთ. თუ ამ პერიოდში ძროხას ცური ძლიერ სავსე აქვს, ვაწარმოებთ მის გამოწველას, რომ ცური არ დაუჩირქდეს. ხბო მოგებისთანავე სახბორეში გადაგვყავს და ხელოვნურ კვებას ვაჩვევთ.

ყოველივე ამის შედეგად ჩვენთან რძის წარმოება ერთიორად გაიზარდა. პირადად მე მომდინარე წლის 10 თვეში თვითეულ ძროხაზე 2.525 ლიტრი რძე მივიღე. წლიური გეგმა კი 2.500 ლიტრს ითვალისწინებს. ამასთან მთლიანად შევინარჩუნე ნამატი.

— როგორია თქვენი შრომის ანაზღაურება?

— ძალიან კარგი. მაგალითად, შარშან, გარდა შრომადღეებზე მიღებული პროდუქტებისა შრომის დამატებითი ანაზღაურების წესით ჯილდოდ მივიღე ჯიშიანი ხბო და 1.300 ლიტრი რძე, — გვიპასუხებს ბაბალე.

საყდრიონელები სიტყვის ხალხია. მათ წარმატებით გაანალიზეს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ნაკისრი ვალდებულება. ნაცვლად 850 ლიტრისა, რასაც წლიური გეგმა ითვალისწინებს, თვითეულ ძროხაზე 1 ნოემბრამდე 1.118 ლიტრი რძე მიიღეს და სახელმწიფოს 110 ტონის ნაცვლად 122 ტონა რძე ჩაბარეს, ამასთან მნიშვნელოვნად შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება. ფერმის ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს ბაბალეს დობილებმა — დარო კობაიძემ, საბედა ხარხელაურმა, თამარ გურგენიშვილმა და სხვებმა.

ფერმაში საუკეთესოდ არის დაყენებული პირუტყვის ზოოვეტმომსახურება. კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი ნაზიკო ჯაგმაიძე ყოველივე ახლისა და შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვის შესანიშნავი ინიციატორია. ამიტომაც არის, რომ ყველა მწველავი გადაჭარბებით ასრულებს რძის წარმოების გეგმას.

ა. ოგბაიძე,
გაზეთ „ახალი თიანეთის“ რედაქტორი,

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„აქ გარაჟის აღგილი არ არის“

ამ სათაურით „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში ლაპარაკი იყო ტყიბულის კეცხოველის ქ. № 8 და № 10 სახლების ეზოებში შექმნილ არანორმალურ მდგომარეობაზე: ტყიბულქვანახშირის ტრესტის ავტობაზამ იქ მოაწყო გარაჟი და შეავიწროვა მობინადრეები. პარტიის ტყიბულის რაიკომი გვატყობინებს, რომ გარაჟი და ბენზინის საწყობი კეცხოველის ქუჩიდან გადატანილია სხვა შესაფერ ადგილზე, რითაც დაკმაყოფილებულია მობინადრეთა კანონიერი მოთხოვნა.

აფხაზეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა

მ. ლაკერბაი

ა ლ ა მ ი ს ი

არის ერთი აფხაზური სიტყვა — ალამისი. აფხაზი კაცისათვის ეს მხოლოდ ლამაზი სიტყვა ყოფილა, — ბევრი სხვა რამეც არის.

...ივლისის ცხელი დღე იყო. შემოხვევით გუდაუთის ქუჩებში გავისეირნე. პალმებითა და ნაირფერადი ყვავილებით მორთულ-მოკაზმულ ბაღში შევედი, დავინახე: გრძელ სკამზე თეთრწვერა მოხუცი მარტო იჯდა, მის მახლობლად ჩამოვისვენე. ცოტა ხნის შემდეგ კიდეც გავეცანი.

— ეს ამბავი ორმოცი წლის წინ მოხდა, — მითხრა მოხუცმა,—ჩემს უმცროს დას თვალები დაუზიანდა. ქვეყანა მოვატარეთ, ვის არ ვაჩვენეთ, მაგრამ ამაოდ; ვერ მოვარჩინეთ, ვერ დავუბრუნეთ სინათლე. ბედშავი გოგო საბოლოოდ დარწმუნდა, დარჩენილი ცხოვრების გზა ბრმად უნდა გავლო, ასეთი ბედი ერგუნა ღმერთმა. „ჩემი სიცოცხლე რაღა სიცოცხლეაო“, გაუფიქრია, სახლიდან ჩუმად გაპარულა და მატარებელს ქვეშ შევარდნია.

შინ რომ დავბრუნდი, ავმა ამბავმა დამარეტიანა. ეზო და სახლი უცხო ხალხით გაჭედილიყო. ჩემი დის გასრესილი სხეული მოეტანათ და საწოლზე დაესვენებინათ.

— ამ საწყალ გოგოს შარვალი რატომ ჩაუცვამს? — ეკითხებოდა ხალხი ერთმანეთს.

დავხედე: დას მართლაც შარვალი ეცვა, ჩემი შარვალი.

— რაშია საქმე? რათ დასჭირდა კაცურად ჩაცმა? — გაკვირვებას ვერ მალავდნენ ჩვენებური ქალები.

ამის საიდუმლო მხოლოდ მე ამოვხსენი. უმაღლეს მივხვდი, ჩეში და ასე რატომ მოიქცა.

— რატომ? — ვკითხე მოხუცს.

— ალამისის გამო, საწყალი ალბათ იმაზე ფიქრობდა, მატარებელი რომ გადამივლის, შიშველი სხეული გამომიჩნდება, თუ კაბა მეცმევაო. ეს რომ არ მომხდარიყო, ჩემი შარვალი ჩაუცვამს...

მოხუცმა ამაყად შემომხედა:

— შენ ალბათ გიკვირს, ადამიანი თავის მოსაკლავად შიდიოდა და იმაზე როგორღა ფიქრობდა, მკვდარს ტიტველი ტანი გამომჩნდებაო, ალამისი სიკვდილზე ძლიერია.

სამშობლოსადმი ერთგულება, უანგარო მეგობრობა, დაჩაგრულის შებრალება, დამარცხებულისადმი დიდსულოვნებია გამოჩენა — ყველაფერი ეს ალამისია — ადამიანის ღირსება და სინდის-ნამუსი.

აფხაზ ბერიკაცებს ხშირად უყვართ თქმა:

„ახლად დაფრთიანებულ ხოხობს ჩვენი პატარა ერის ძალა რომ გამოაბა, უალამისოდ მაინც ხოხობი მოერევა, თავისაკენ გადაითრევს, მაგრამ თუ აფხაზი კაცის გულში ალამისი ცოცხლობს, იმ კაცს ორასი კამეჩიც რომ მოუბა, ადგილიდან ფეხს ვერ მოაცილებენ“.

აფხაზთა მდიდარ ხალხურ შემოქმედებას ალამისი ასულდგმულებს...

დაბრძენებული ღრმა მოხუცები მრავლად ჰყვებოდნენ სამახსოვრო ამბებს, რომელთა მთავარი გმირია ალამისი. ხალხური მთქმელები და მომღერლები ალამისზე თხზავდნენ ლექსებს. მათს სიტყვებში ხალხის სინდის-ნამუსი ღაღადებდა.

...ამას წინათ ვეება ჭანდრების ქვეშ გაშლილ გრძელ სუფრას ვუსხედით. აჭანდარის მცხოვრებნი მოსავლის ღღეობას ზეიმობდნენ. ჩვეულების მიხედვით ყოველი სტუმარი ვალდებული იყო აფხაზთა ცხოვრებიდან რაიმე საინტერესო ამბავი მოეთხრო.

ერთი ახალგაზრდა მასწავლებლის ნაამბობი სამუდამოდ აღმებეჭდა გულში:

— დიდი სამამულო ომის მესამე წელს მტრები ცდილობდნენ მთის ბილიკებით კავკასიის შუაგულში შემომძვრალიყვნენ. რომელ სოფელსაც აიღებდნენ, ნაცარტუტად აქცევდნენ.

შიშველი ციცაბო კლდეები, გაუვალი უფსკრულები და ვიწრო ხეობები სვასტიკიანი დროშის წინსვლას ყოველ ნაბიჯზე წინ ეღობებოდნენ.

ერთხელ ფაშისტთა მზვერავებმა ჭიუხის ბილიკზე მომავალი აფხაზი გოგონა შეიპყრეს. ათხარადან მომავალ გოგონას იალაღზე მყოფი მწყემსი ბაბუისათვის საჭმელი მიეჭრიდა. მზვერავები ავტომატებით დაემუქრნენ და მოსთხოვეს, გადასასვლელის გზა გვასწავლეო.

გოგონა სულ თორმეტი წლისა იყო, მაგრამ ფაშისტებს ჭკუით მაინც აჯობა. მზვერავებს მრუდე ბილიკებით წაუძღვა წინ და უდაბურ მთებში ისე შორს შეიტყუა, რომ სულ დაუკარგა გზა-კვალი, იქიდან ვერც ერთი ვეღარ დაბრუნდებოდა ცოცხალი. გოგონას ივანე სუსანინის ბედი ელოდა. ბნელი ღამე იყო და სქელი ბურუსი იდგა.

განთიადისას უფსკრულს წაადგნენ. გოგონა კბოდეზე გადაეშვა, მაგრამ, საბედნიეროდ, არ მოკვდა, რაღაც სასწაულმა გადაარჩინა.

გატანჯულ-გაწამებული ტანაცმელშემოფლეთილი ბავშვი მეორე დღეს საბჭოთა მებრძოლებთან მიფორთხდა და უამბო, რაც თავს გადახდა.

მებრძოლებმა ჰკითხეს:

— ასე პატარა გოგონამ ამ ვეებერთელა საქმის გაკეთება როგორ შესძელი, რამ მოგცა ასეთი სიმამაცე და ძალა?

გოგონამ ერთი სიტყვით უპასუხა:

— ალამისმა.

ალამისი ჩემი ქვეყნის გმირული სულია, ჩემი ხალხის სისპეტაკე და სინდის-ნამუსია, აფხაზეთი მრავალი სიკეთით არის მდიდარი, მაგრამ ყველაზე მეტად კი — ალამისით.

ჰო და, მე მინდა, ჩემი კალამი ალამისზე შეთხზული ამბების წერაში გაცვთეს.

ჰო და, მე მინდა, სიცოცხლე მთლიანად ალამისზე სიმღერაში დამეხარჯოს, ვადიდო კაცის თავზე კაცური ქუდი და ქალის თავზე წმინდა მანდილი.

ეს არის ყველაზე დიდი ჩემი ოცნება.

თარგმნა აკაკი გეწაძემ.

დეკადის დღიური

22 ნოემბერი

დღის 3 საათზე თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში საქართველოს თეატრალური საზოგადოება აწყობს აფხაზეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაში მონაწილე მხატვრული კოლექტივების რეპერტუარის განხილვას.

განხილვას შესავალი სიტყვით გახსნის სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ა. ხორავა. მოსმენილ იქნება მოხსენებები: „სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური კოლექტივის სადეკადო სპექტაკლები“ (მომხსენებელი ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. შალუტაშვილი), „სოხუმის სახელმწიფო თეატრის ქართული კოლექტივის სადეკადო სპექტაკლები“ (მომხსენებელი ბ. ჟღენტი), „აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სიმღერები“ (მომხსენებელი ლ. გეგეჭკორი), „აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ცეკვები“ (მომხსენებელი რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლ. გვარამაძე).

სურათზე: სცენა ბ. ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინიდან“. როლებს ასრულებენ დიდი თეატრის სოლისტები ჯ. მასლენიკოვი (ლენსკი) და კ. ლეონოვა (ოლღა).

ისტორიული ძეგლების „მკურნალები“

საუკუნეთა ქარცეცხლში გამოვლილი მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებითაც სამართლიანად ამაყობენ ერები, გარდასულ დროთა კულტურის უტყუარი მოწმენი არიან. წელთა სიმრავლე მათზეც ახდენს გავლენას, უტეხს „ჯანმრთელობას“, მაგრამ მათ ჰყავთ თავიანთი „მკურნალები“, რომლებიც უვლიან, პატრონობენ და საჭიროების შემთხვევაში „ოპერაციებსაც“ უკეთებენ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მრავალ ადგილას ნახავთ ისტორიულ ძეგლებს — ეკლესიას, ციხე-კოშკს, ტაძარს და სხვ. ზოგი მათგანი სიძველის მიუხედავად კვლავ ამაყად გამოიყურება, ზოგი კი დანგრეულა, თითქმის მიწასთან გასწორების გზაზე დამდგარა. აი, მაგალითად, VII საუკუნის ძეგლი — სამწევრისის ეკლესია, რომელსაც წინა კედლები სულ ჩამონგრეული ჰქონდა. ახლა მას ვეღარ იცნობთ. იგი მნახველს თვალწინ წარმოუდგება ისე, როგორც ხუროთმოძღვარს აუშენებია.

ისტორიული ძეგლების აღდგენის საქმეს ემსახურება სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნო. სამწევრისის ეკლესიაც ამ სახელოსნოს მუშაკებმა აღადგინეს არქიტექტორ ლ. ხიმშიაშვილის პროექტის მიხედვით.

აღმდგენელ არქიტექტორს განსაკუთრებით დაკვირვებული თვალი უნდა ჰქონდეს, მას არ უნდა გამორჩეს ძეგლის ჩამონგრეული ნაწილის ფორმის ხაზი, სულ პატარა ნაწილს ან მაწაში ჩაფლული ქვის ფორმასაც კი დიდი მნიშვნელობა ეძლევა ძეგლის აღსადგენად. ლ. ხიმშიაშვილმა მეცნიერული თვალსაზრისით შეისწავლა ძეგლი, გამოიყენა საარქივო მასალები და დიდი მუშაობის შემდეგ აღადგინა ამ ეკლესიის პირვანდელი სახე.

სახელოსნოს მუშაკების მიერ აღდგენილი ძეგლები საქართველოში ბევრია. ეს დაწესებულება, რომელიც ეკუთვნის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საქმეთა სამმართველოს, ყოველწლიურად 30-40 ძეგლის შეკეთებას ახდენს.

ყველაზე მნიშვნელოვანი ბოლო ორი-სამი შეიძლება ჩაითვალოს ამ უკანასკნელ წლებში სახელოსნოს მუშაკებისათვის არის ისეთი ცხ[illegible] ... [illegible] სამუშაოები ჯერ არ დამთავრებულა. მომავალი წლიდან დაიწყება მისი კარიბჭის რესტავრაცია.



ბაგრატის ტაძარი XI საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის. ამ შესანიშნავი ძეგლის ზოგიერთი კონსტრუქციული ნაწილის აღდგენა პირვანდელი სახით არქიტექტორის კეთილშობილური მოვალეობაა. მით უმეტეს, რომ საუკუნეთა ამორავლეს ტაძრისათვის დიდი კვალი დაუნიშნავს. ჩამოშლილა და დანგრეულა მისი ორი მესაშელი ნაწილი.

დიდი შრომა და ჯაფა დასჭირდა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატს არქიტექტორ ვ. ცინცაძეს აღდგენითი პროექტის შესადგენად. ამისათვის მან დიდი დაკვირვებით შეისწავლა XI საუკუნის არქიტექტურული ძეგლების საერთო სტილი, თვით ძეგლი. ინჟინერ-რესტავრატორ გ. ასათიანის ხელმძღვანელობით დაიწყო ძეგლის გაწმენდა. აღმოჩნდა მიწაში ჩაფლული მრავალი ორნამენტალური ქვა, რომელთა ნაწილი გამოყენებულ იქნა მშენებლობაში, ზოგი კი — მუზეუმებს გადაეცათ. აღდგენილ ბაგრატის ტაძარი XI საუკუნის ეკლესიის ტიპის, ერთ-ერთ ადგილებში ... [illegible] ... ბული ... [illegible] ... ტაძრის კედლები. [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 20 ნოემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ანტონინ ზაპოტოცკის დაკრძალვაზე საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრებმა კ. ე. ვოროშილოვმა, ნ. გ. იგნატოვმა, ი. ს. კონევმა, დ. ს. კოროტჩენკომ, ი. ტ. გრიჩინმა დღეს გვირგვინით შეამკეს ეროვნული განთავისუფლების ძეგლი გიტკოვის მთაზე. გვირგვინს აქვს წარწერა: „დიდება ჩეხოსლოვაკიის მამაც მებრძოლებს თავიანთი სამშობლოს განთავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციისაგან — კ. ვოროშილოვის, ი. გრიშინის, ნ. იგნატოვის, ი. კონევის, დ. კოროტჩენკოსაგან“.

გვირგვინით შემკობის დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ჰიმნები.

გვირგვინით შემკობის ცერემონიას დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ვ. შიროკი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვ. კოპეცკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. კელერი, ეროვნული კრების თავმჯდომარე ზ. ფირლინგერი, შინაგან საქმეთა მინისტრი ზ. ბარაკი, საგარეო საქმეთა მინისტრ ვ. დავიდი, ეროვნული კრების თავმჯდომარემ ზ. ფირლინგერმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა ზ. ბარაკმა, ეროვნული ფრონტის ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, საელჩოებისა და მისიების მეთაურებმა, რომლებიც აკრედიტებული არიან პრაღაში.

ვაგზლის ბაქანზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული, შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის წევრები გულთბილად გამოეთხოვნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, დიპლომატიური კორპუსის წევრებსა და ყველა დამსწრეს და სამშობლოში გაემგზავრნენ.

ПРАЛИДАН ГАМОЕМГЗАВРА САБЧОТА КАВШИРИС МТАВРОБИС ДЕЛЕГАЦИА

Праги, 20 ноембери. (Сакдеси). Дзе Праги Сам Сабчоеби Специалури Матаребелтан гаемгзавра Сабчоета Кавширис Мтавробис Делегация, romelic Чехословакиис Республикис Президентис Антонин Запотоцкис Datarebis Cas Mivida: Sesr Kavširis umaRlesi Sabčos Prezidiumis Mtavmjdomare, Sabčoeta Kavširis Komunisturi Partiis Centraluri Komitetis Prezidiumis Wevri k. e. Voroshilovi (delegaciis meTauri), Sabčoeta Kavširis Komunisturi Partiis Centraluri Komitetis Prezidiumis Wevri n. g. Ignatovi, Sabčoeta Kavširis Marshali i. s. Konevi, Ukrainis Sesr umaRlesi Sabčos Prezidiumis Mtavmjdomare, Sabčoeta Kavširis Komunisturi Partiis Centraluri Komitetis Prezidiumis Wevris Kandidati d. s. Koroltchenko.

Praghis centraluri vagzalis stumrebi gacilebiT Chexosloveakiis respublikis prezidentma antonin novotnim, mTavrobis TavmjdomaremaRma v. shirokma, mTavrobis TavmjdomarisMa moadgilebma i. dolanskma, v. kopecka, l. iankovskma, Chexosloveakiis komunisturi partiis centraluri komitetis mdivnebma i. gendrichkma, o. hrnkhma, b. kelerma, v. krutinmaa, eROvnuli krebis TavmjdomarisMa z. firlingerma, Sinagan saqmeTa ministrma r. barakma, ministrebma, eROvnuli frontis organizaciebis xelmZRvanelebma, saxelmwifo warmomadgenlebma, saelCiebisa da misiebis mTavarebma, romlebic akredebulebi arian prazeSi.

vagzlis bakanze CamwkrivebuliyaRi iyo saPatio yaraulebi, Sesrulebuli iqna saxelmwifo himnebi.

Sabčoeta kavširis mTavrobis delegaciis wevrebi gulTbilad gamoeTxovnenen parTiisa da mTavrobis xelmZRvanelebs, diplomatiur korpusis wevrebsa da yvela damsWrs da samSobloSi gaemgzavrnenen.

ДИРСЗШЕСАНИШНАВИ ТАРИЦИ УНГРЕЕТИС ХАЕБИСАТВИС

Budapeshti, 20 ноембери. (Сакдеси). Дзе Шесрулда 39 წელი მას შემდეგ, რაც შეიქმნა უნგრეთის კომუნისტური პარტია. ამ თარიღთან დაკავშირებით გაზეთები ბეჭდავენ მოწინავე და სარედაქციო სტატიებს, რომლებშიც გაშუქებულია, თუ რა სახელოვანი გზა განვლო უნგრეთის რევოლუციურმა მოძრაობამ უნგრეთის კომუნისტური პარტიიდან უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიამდე. გაზეთი „ნეფსაბადშაგი“ სარედაქციო სტატიაში წერს, რომ კომუნისტური პარტიის შექმნამოსავალი პუნქტი იყო უნგრეთის რევოლუციური ძალების სწრაფი განვითარებისათვის.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ, გაანადგურეს რა კონტრრევოლუციონერ 1956 წელს, უნგრეთის კომუნისტებმა დიეცეს სოციალისტური მონაპოვრები, აღადგინეს პარტია, რომელიც ახლა უფრო ძლიერი და დარაზმული გახდა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. უნგრეთის სოციალისტურ შუშათა პარტიას, წერს დასასრულ გაზეთი, სიამაყით მიაჩნია თავისად უნგრეთის კომუნისტური პარტიის საბრძოლო ტრადიციები.

ПИНОС МОЛАПАРАКЕБА ВАШИНГТОНШИ

ვაშინგტონი, 20 ნოემბერი. (საკდესი). საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პინო გუშინ სამ საათს აწარმოებდა მოლაპარაკებას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან დალესთან.

სახელმწიფო დეპარტამენტში თათბირის შემდეგ პინომ კორესპონდენტებს განუცხადა, რომ დალესთან შეხვედრის დროს განიხილეს მთელი რიგი პრობლემები და, კერძოდ, ტუნისისათვის ამერიკის იარაღის მიწოდებასთან და განსაკუთრებით ნატოს საბჭოს დეკემბრის სესიისათვის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები.

პინომ აცნობა კორესპონდენტებს, რომ დალესთან შეხვედრის დროს მან განსაკუთრებით აღნიშნა „სერიოზული გამოხმაურება“ საფრანგეთში ტუნისისათვის ამერიკისა და ინგლისის იარაღის მიწოდების გამო.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს დიპლომატიური მომმხილველი ჰაიტაუერი, კომენტარს უკეთებს რა ამ შეხვედრას, აცხადებს, რომ დალესმა და პინომ სახელმწიფო დეპარტამენტში თავიანთი სამი საათის თათბირის დროს „ვერ გადაჭრეს მწვავე დავა, რომელსაც გათიშვა შეაქვს ატლანტიკის კავშირში“.

МЗАДЕБА ДАСАВЛЕТ ГЕРМАНИИС АРМИИС РАКЕТИТА ИАРАЛИТ АЦЧУРВИСАТВИС

ბონი, 20 ნოემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიაში ამჟამად აქტიური მზადება მიმდინარეობს ნატოს საბჭოს მომავალი სესიისათვის, როშელიც, როგორც აღნიშნული იყო, განიხილავს საკითხს დასავლეთ გერმანიის არმიის რაკეტული იარაღით აღჭურვის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში ორჯერ გაიმართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის თავდაცვის საბჭოს სხდომა. გუშინ ბონში კანცლერ ადენაუერის თავმჯდომარეობით გაიმართა ამ საბჭოს სხდომა, რომელმაც, როგორც დასავლეთ გერმანიის დპა-ს სააგენტო იუწყება, განიხილა ბუნდესვერის შემდგომი ფორმირების საკითხი და რაკეტული „დაცვის“ პრობლემა. „ეს საკითხი, — ხაზგასმით აღნიშნავს სააგენტო, — განსაკუთრებით აქტუალური გახდა იმიტომ, რომ ამერიკის თავდაცვის მინისტრმა მოითხოვა ამერიკის შეერთებული შტატების რაკეტული ბაზების შექმნა ნატოს მონაწილე ქვეყნებში“.

ბერლინი, 20 ნოემბერი. (საკდესი). აღნის სააგენტოს ცნობით, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ და ამ პარტიის სამხედრო საკითხთა ექსპერტმა მენდემ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის შორის ძირითადი ბრძოლა ნატოს ყველა დივიზია, მათ შორის დასავლეთ გერმანიის დივიზიებიც, აღჭურვონ რაკეტული იარაღით.

ბირმა. რანგუნი. სურათზე: ქალაქის ერთ-ერთი ქუჩა.
ფოტო ს. პრავდინისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესია

19 ნოემბრის დღის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 20 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ გენერალური ასამბლეის დღის პლენარულ სხდომაზე, რომელიც განიხილავს რეზოლუციათა პროექტებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის შემადგენლობის გაფართოების შესახებ, პირველი გამოვიდა ბელორუსიის სს რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური კ. ვ. კისელიოვი.

განიარაღების კომისიის ათი წლის საქმიანობამ და მისი ქვეკომიტეტის ოთხი წლის საქმიანობამ, თქვა მან, ვერაფითარი სარგებლობა ვერ მოიტანა და ერთი ნაბიჯითაც ვერ წასწია წინ განიარაღების პრობლემა. იმის შედეგად, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ცდილობენ არ დაუშვან რაიმე შეთანხმება ამ საკითხზე, განიარაღების პრობლემის განხილვა ჩიხში მოექცა.

ბელორუსიის დელეგატმა მხარი დაუჭირა საბჭოთა დელეგაციის წინადადებას განიარაღების მუდმივი კომისიის შექმნის შესახებ. რაც შეეხება ექვსი ქვეყნის რეზოლუციის პროექტს, განაგრძო კისელიოვმა, იგი არ შეესაბამება განიარაღების პრობლემის გადაჭრის ამოცანებს, რადგან მისი მიღება არსებითად ვერ შეცვლის მდგომარეობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში, რომლის წევრთა დიდი უმრავლესობა სხვადასხვაგვარ აგრესიულ სამხედრო ბლოკებსა და კავშირებში შედის.

კ. ვ. კისელიოვმა მხარი დაუჭირა ალბანეთის შესწორების ექვსი ქვეყნის რეზოლუციის პროექტისათვის, რამდენადაც ეს შესწორება აუმჯობესებს კომისიის შემადგენლობას და მიზნად ისახავს, რომ კომისია გახდეს ორგანო, როშელიც უფრო წარმატებით იმუშავებს განიარაღების პრობლემის გადასაჭრელად.

ბულგარეთის დელეგატმა ტარაბანოვმა მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის წინადადებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების მუდმივი კომისიის შექმნის შესახებ. მან ცხადყო, რომ უსაფუძვლოა მოსაზრებანი დასავლეთის სახელმწიფოებისა, რომლებიც საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ გამოდიან, ხაზი გაუსვა, რომ ეს მოსაზრებანი გამოხატავენ მხოლოდ შიშს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე და იმას, რომ არ სურთ სერიოზულად მიუდგნენ განიარაღების საკითხებს. ტარაბანოვმა განაცხადა, რომ მის დელეგაციას შეუძლია ხმა მისცეს ექვსი ქვეყნის რეზოლუციის პროექტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიღებულ იქნება ალბანეთის შესწორება ამ რეზოლუციისათვის, თუმცა რეზოლუცია არც ამ შესწორების შემდეგ იქნება იდეალური.

პოლონეთის დელეგატმა ვინევიჩმა აგრეთვე დაუჭირა მხარი საბჭოთა წინადადებას.

აფღანეთის დელეგატმა ხაზი გაუსვა ერთხმივობის დიდ მნიშვნელობას განიარაღების ყველა საკითხის, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების ორგანოთა შემადგენლობის საკითხის გადაჭრის დროს.

იაპონიისა და ნეპალის დელეგატები ალბანეთის შესწორების წინააღმდეგ გამოვიდნენ.

სირიის წარმომადგენელმა ზეინ-ედ-დინმა განაცხადა, რომ საბჭოთა წინადადება მუდმივი კომისიის შესახებ რეალისტურია, მაგრამ, რამდენადაც ეს წინადადება ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობას კომისიაში, ხოლო მთელი რიგი დელეგაციები ამ წინადადების წინააღმდეგი არიან, სირიის დელეგაცია კენჭისყრაში თავს შეიკავებს. ზეინ-ედ-დინმა მხარი დაუჭირა ალბანეთის შესწორებას ექვსი ქვეყნის რეზოლუციის პროექტისათვის.

ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა ნოსეკმა ხაზი გაუსვა, რომ მუდმივი კომისიის შექმნა, როგორც ეს გათვალისწინებულია საბჭოთა პროექტით, კარს გაუღებდა ახალ ღონისძიებებს განიარაღების შესახებ შეთანხმების მისაღწევად. ნოსეკმა თქვა, რომ ექვსი ქვეყნის რეზოლუციის მიღება ვერ შეცვლიდა მდგომარეობას, როცა ერთი სამხედრო დაჯგუფების ქვეყნები უმრავლესობას შეადგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების ორგანოში. ამიტომ, თქვა მან, ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია ხმას მისცემს ამ რეზოლუციის წინააღმდეგ და მონაწილეობას არ მიიღებს ასეთ კომისიაში, თუ არ იქნა მიღებული ალბანეთის შესწორება.

უკრაინის სს რესპუბლიკის წარმომადგენელმა ვ. პ. კოზაჩენკომ ხაზგასმით აღნიშნა: განიარაღების საკითხზე მოლაპარაკება რომ გაგრძელდეს, საჭიროა გამოინახოს ახალი ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ მოლაპარაკება ნაყოფიერი იყოს. იმ ორგანოს, რომელიც მუშაობს ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვან პრობლემაზე, უნდა ექნეს ფართო წარმომადგენლობითი ხასიათი. სწორედ ამ მიზანს შეესაბამება საბჭოთა კავშირის რეზოლუციის პროექტი განიარაღების მუდმივი კომისიის შექმნის შესახებ.

უკრაინის დელეგაციის შესწორება ამ პროექტისათვის, თქვა კოზაჩენკომ, რომლის თანახმად განიარაღების მუდმივი კომისიის განსახილველად უნდა იქნას გადაცემული სახელმწიფოთა ყველა წინადადება, რომლებიც გენერალური ასამბლეის XII სესიას წარედგინა, ზოგადი ხაზებით განსაზღვრავს ამ კომისიის მუშაობის მიმართულებას.

უკრაინის სს რესპუბლიკის წარმომადგენელმა განაცხადა აგრეთვე, რომ მისი დელეგაცია ხმას მისცემს კანადის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების რეზოლუციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიღებულ იქნება ალბანეთის შესწორება.

ავსტრიის დელეგატმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა დათანხმდებოდა შესულიყო კომისიაში, როგორც ეს გათვალისწინებულია ალბანეთის შესწორებით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ შესწორების მხარს დაუჭერს ყველა ქვეყანა და, კერძოდ, ოთხი დიდი სახელმწიფო.

რუმინეთის წარმომადგენელმა მაგერუმ აგრეთვე მხარი დაუჭირა ალბანეთის შესწორებას.

საფრანგეთის დელეგატი მოკი, რომელმაც გაღმა შედგომების ხერხს მიმართა, ამტკიცებდა, თითქოს საბჭოთა კავშირი ცდილობდეს თავისი ნება უკარნახოს ასამბლეას.

იუგოსლავიის წარმომადგენელმა პრიცამ განაცხადა, რომ მისი დელეგაცია მონაწილეობას იღებდა მოლაპარაკებაში კომისიის შემადგენლობის გაფართოების შესახებ და ექვსი ქვეყნის წინადადების ერთ-ერთი თანაავტორია, რადგან დელეგაციას იმედი ჰქონდა, რომ ეს წინადადება საფუძველი გახდებოდა ისეთი გადაწყვეტილების მისაღებად, რომელსაც ყველა დაეთანხმებოდა. მან სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ წინადადება მიუღებელი აღმოჩნდა ერთ-ერთი მხარისათვის, და განაცხადა, რომ მისი დელეგაცია უარს ამბობს გამოვიდეს როგორც თანაავტორი ექვსი ქვეყნის რეზოლუციის პროექტისა, მონაწილეობას არ მიიღებს შემდგომ მოლაპარაკებაში ამ საკითხზე და არ მიიღებს მონაწილეობას არც კენჭისყრაში.

იუგოსლავიის დელეგატის გამოსვლის შემდეგ კენჭი უყარეს რეზოლუციებს. სსრ კავშირის რეზოლუციის პროექტი მუდმივი კომისიის შექმნის შესახებ უარყოფილ იქნა 46 ხმით. 9 დელეგაციამ (ალბანეთი, ბელორუსიის სს რესპუბლიკა, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, რუმინეთი, სსრ კავშირი, უნგრეთი, უკრაინის სს რესპუბლიკა) ხმა მისცა ამ რეზოლუციას. 24 დელეგაციამ (ავღანეთი, ავსტრია, ბოლივია, ბირმა, კამბოჯა, ცეილონი, ეგვიპტე, ეთიოპია, ფინეთი, განა, ინდოეთი, ინდონეზია, ერაყი, იორდანია, ლიბია, მალაია, მექსიკა, მაროკო, ნეპალი, საუდის არაბეთი, სუდანი, სირია, ტაილანდი, იემენი) თავი შეიკავა კენჭისყრაში. იუგოსლავიის დელეგაციას კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

ექვსი ქვეყნის რეზოლუციის პროექტისათვის ალბანეთის შესწორება უარყოფილ იქნა 38 ხმით. 19 დელეგაციამ ხმა მისცა ამ შესწორებას და 19 დელეგაციამ თავი შეიკავა.

შემდეგ 60 ხმით 9 ხმის წინააღმდეგ (11 დელეგაციამ თავი შეიკავა) მიიღეს კანადის, იაპონიის, ინდოეთის, პარაგვაისა და შვეიცის რეზოლუცია.

ჰყიდიან საახალწლო ნაძვისხის სათამაშოებს

ახლოვდება ახალი წელი. ამ დღეებში მაღაზიების ხშირი სტუმრები არიან პატარა მოქალაქეები, რომლებიც ამთავითვე ემზადებიან ახალწლის დღესასწაულისათვის. ისინი გულგრილად ვერ გაუვლიან მაღაზიების ვიტრინებს, სადაც დადგმულია კეკლუცად მორთული ნაძვისხეები, გულმოდგინედ არჩევენ ბრჭყვიალა სათამაშოებს. პატარებს ძალიან მოსწონთ სათამაშოები „წვიმა“, „პარაშუტი“, „ყურძენი“, „წიწილები“, „ვარსკვლავები“, „მზე და მთვარე“, „ლოლუები“, „მარწყვი“, „თოვლი“, „სოკო“ და სხვ.

„თბილმრეწველაჭრობის“ მაღაზიებში უკვე დაიწყო ნაძვისხის სათამაშოების გაყიდვა. ორსართულიან უნივერმაღში რუსთაველის პროსპექტზე, მაღაზია „ბავშვთა სამყაროში“, 26 კომისრის რაიონის მუშათა უბანში, ლენინის რაიონში, პლეხანოვის პროსპექტზე კულტსაქონლის სპეციალიზებულ მაღაზიაში უკვე მოწყობილია საახალწლო ნაძვისხის სათამაშოების ვიტრინები და განყოფილებები. ცენტრალური უნივერმაღის პირველი სართულის დიდ დარბაზში დადგმულია ნაძვისხე. სულ გამოტანილი იქნება 2 მილიონი მანეთის ნაძვისხის მორთულობა, მათ შორის ბევრი კომპლექტი, რომლებიც მიღებულია მოსკოვის ოლქისა და ვინნიცის სათამაშოების ფაბრიკებიდან. ამჟამად მაღაზიებში დღიურად 3-5 ათასი მანეთის ნაძვისხის სათამაშოები იყიდება.

საახალწლოდ 10.000 ცალ თოვლის პაპას დაამზადებს თბილისის თვალსაჩინო-სასწავლო ხელსაწყოების ფაბრიკა.

პატარა მომხმარებლები საახალწლოდ კარგ საჩუქარს მიიღებენ. თბილისში გაიხსნება სათამაშოების სპეციალიზებული მაღაზია.

• • •

სურათზე: ნაძვისხის სათამაშოების განყოფილება თბილისის ცენტრალურ უნივერმაღში.

ფოტო შ. გოკაძისა.

СССР КАВШИРТАН ИРАНИС КУЛТУРУЛИ УРТИЕРТОБИС САЗОГАДОЕБИС ДЕЛЕГАЦИА ТБИЛИСШИ

21 ნოემბერს თეირანში გაფრინდა სსრ კავშირთან ირანის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დელეგაცია სენატორ, გენერალ ჯაჰანბანის მეთაურობით, რომელიც თბილისში სტუმრად იყო. დელეგაცია 21 დღეს იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების მოწვევით. იგი მოსკოვში დაესწრო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავის დღესასწაულს, იმოგზაურა ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში.

საქართველოს დედაქალაქიდან გაშგზავრების წინ სენატორმა, გენერალმა ჯაჰანბანიმ საქდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ჩვენ თან მიგვაქვს დაუვიწყარი შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირში ყოფნის გამო. ყველგან, სადაც უნდა ვყოფილიყავით, გვხვდებოდნენ და გვიღებდნენ როგორც უაღრესად ახლობელ და ძვირფას მეგობრებს. მოხარული ვარ აღვნიშნო ირანისა და საბჭოთა კავშირის ძეგობრობა, რომელიც იზრდება და განუწყვეტლივ მტკიცდება. ეს მეგობრობა დამყარებულია კეთილ ნებაზე, სურვილზე დავმეგობრდეთ სამარადისოდ.

განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა დავამყარეთ საქართველოსთან. ამ ურთიერთობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. თეირან-თბილისი-მოსკოვის საჰაერო ტრასი გახდა ჩვენი ხალხების ურღვევი მეგობრობის ტრასი.

სსრ კავშირთან ირანის კულტურული ურთიერთობის საზოგადოება ამპირებს გაფართოოს კონტაქტი უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებასთან, უფრო ფართოდ მოაწყოს კულტურული გაცვლა, რათა შესაძლებლობა ექნეს უფრო სრულად ელაპარაკოს ირანის საზოგადოებრიობას საქართველოს ცხოვრებაზე.

ეროდრომზე დელეგაცია გაიცილეს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ვ. ქოჩორაძემ და თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. (საქდესი).

საერთაშორისო მატჩები ფეხბურთში

20 ნოემბერს ტაშკენტში „პახტაკორის“ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში ფინეთის კლუბის „ვაასასა“ და ტაშკენტის „პახტაკორის“ ფეხბურთელთა კოლექტივებს შორის. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა 4:1.

• • •

მატჩი მაინის ფრანკფურტში ლენინგრადის „ზენიტისა“ და ქალაქების ფრანკფურტისა და ოფენბახის ორი კლუბის ნაკრებ გუნდებს შორის დამთავრდა დასავლეთ გერმანიის ფეხბურთელთა გამარჯვებით 3:1.

• • •

უეგოროდის სტადიონზე ადგილობრივი „სპარტაკი“ შეხვდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ჭ. დებრეცენის გუნდს. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 2:2.

რედაქტორი პ. რატიანი.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88. განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ჩხელის — 3-57-61, პრესის მიმოხილვისა და პარტბიუროსი — 3-72-80, აღგილობრივი ინფორმაციის — 3-32-46, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებ.ს — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ЦЕ 03687. საქართველოს კპ ც. კ-ეს გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

დღეს

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ხალისიანი მეგობრები, **მარჯანიშვილის სახელობის** — ორი ბატონის მსახური (სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართული კოლექტივის სპექტაკლი), **გრიბოედოვის სახელობის** — მფლანგველი, **სომხური დრამის** — მორგანის მძახალი, **მუსიკალური კომედიის** — ახალი სიმღერა, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ბორის ძველაძე (აბონემენტი № 21, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — რბილი ხასიათი (10 ს.), ნამდვილი ადამიანი (8 ს.), **თოჯინების ქართული** — ნუკრი (4 ს.), **თოჯინების რუსული** — ორი პოტაპიჩი (12 ს. 30 წ. და 2 ს.), **ფილარმონია** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი „რეროს“ კონცერტი (აზამთრო თეატრი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ახანი (აზამთრო), **პლეხანოვის სახელობის** კლუბი, **ორჯონიკიძის სახელობის** პარკი — ოქროს ობობა, **ამირანი** (ფართო ეკრანი) — დები, **სპარტაკი** — პოეტის აკვანი, **თბილისი**—სიყვარული და ცრემლები, **კომკავშირელი**, **კიროვის სახელობის** პარკი — ქალის ტვირთი, **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **კოლხიდა** (საზამთრო), **ჭავჭავაძისა და ძერჟინსკის სახელობის** კლუბები, **დიდუბე** (საზამთრო) — წყნარი დონი, **საქართველო** (წითელი დარბაზი) — მამა, დედა, მოსამსახურე და მე, **საქართველო** (მწვანე დარბაზი). **ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — საშა ცხოვრებაში ებმება, **გორკის სახელობის** პარკი, **ყაზბეგი**, **კოლმეურნე**, **სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის** სახლი — დედის სიყვარული, **ოფიცერთა სახლი**, **ცენტრალური კულტურის** სახლი — გარდატეხა, **კომუნარების ბაღი** — ფანფან-ტულპანი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფილების გამგის 1 საშტატო ერთეული — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი, 2. კაპიტალისტური ხანის საქართველოს ისტორიის განყოფილების გამგის 1 საშტატო ერთეული — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.

მსურველებმა ინსტიტუტის დირექტორის სახელზე უნდა შემოიტანონ განცხადება და 3 ცალად წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, დახასიათება სამსახურის უკანასკნელ აღგილიდან (ხელმოწერილი დაწესებულების ხელმძღვანელის და პარტიული ორგანიზაციის მდივნის ან აღგილკომის თავმჯდომარის მიერ), უმაღლესი განათლების დიპლომისა და სამეცნიერო ხარისხის და წოდების მინიჭების საბუთების ნოტარიალურად დამტკიცებული ასლები, სამეცნიერო შრომების სია და ძირითადი ნაშრომების ამონაბეჭდები.

საბუთების წარმოდგენის ვადაა ერთი თვე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

მისამართი: ძერჟინსკის ქ. № 8, ტელ. 3-06-82.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში
22 ნოემბერს
სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართული კოლექტივის სპექტაკლი
კ. გოლდონი
ორი ბატონის მსახური
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
სპექტაკლზე **„ხეები ზეზეულად კვდებიან“** 22 ნოემბრისათვის აღებული ბილეთები ძალაშია სპექტაკლზე **„ორი ბატონის მსახური“**.

შვილი რომეო, დები ქსენია და ოლია ჩოჩია, სიძე ირაკლი ოჩიგავა იუწყებიან
ფედოსი თეოფანეს ასულ ქაჯაიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-XI აბაშაში, გამოსვენება ბინიდან, გეგეჭკორის ქ. № 1.

დედა ვერა, მამა იორდანე, ძმები ედუარდ, ბიძინა, ნიკოლოზ, რძალი დალი იუწყებიან
მინდია იორდანეს-ძე ფირცხალაიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-XI, 4 ს. ლანჩხუთში, გამოსვენება ბინიდან, ბარათაშვილის ქ. № 23.

მეუღლე მიხეილ, შვილები სიმონ, ნინო, თამარ, და ევა, სიძეები ვ. ჭაჭიაშვილი, ს. აბაშიძე ოჯახებით იუწყებიან
კალენიკა სიმონის ასულ ასათიანი-მაჭავარიანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-XI სოფელ ობჩაში (მაიაკოვსკის რ.).

მეუღლე დომნა, შვილები ნინო, ეთერ, ზოია, სუსანა, სიძეები გ. ჩიქობავა, შ. როდონაია ოჯახებით იუწყებიან
ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე სირიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-XI, 6 ს. ცხაკაიაში, გამოსვენება ჭავჭავაძის ქ. №105.

შვილები ქეთევან, კონსტანტინე, რძალი ანასტასია, სიძე შ. თაყაძე, და ანა ლაბაძე ოჯახებით იუწყებიან
ბარბარე ალექსის ასულ მაისურაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23-XI, 8 ს. გამოსვენება 24-XI, 1 ს. სამხედრო გზა № 21.

შვილები ჯულიეტა, რომეო ჩანგიშვილები, და ელენე, ძმა გიორგი ჩხენკელები, რძლები მერი, ლიზა ოჯახებით იუწყებიან
თამარ გაბრიელის ასულ ჩხენკელის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23-XI, 8 ს. გამოსვენება 24-XI, 3 ს. რეზერვუარის ქ. № 27.

მეუღლე ნინო, შვილები ტარიელ, ნუნუ, დედა ნინო, რძალი ქეთევან იუწყებიან
ელენე ალექსანდრეს ასულ ხაბარაშვილი-კაკაბაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-XI პატარა კუხში (წულუკიძის რ.).

მეუღლე ნინო, შვილები ლუბა, ქეთევან, აკაკი, მამია, რძალი ეთერ, სიძე ვ. გიქოშვილი ოჯახებით იუწყებიან
დმიტრი ნინოს-ძე მემარნიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-XI სოფელ ცხემლისხიდში (მახარაძის რ.).

შვილები ივანე, სოსო, რძლები ქეთევან, ნატალია ოჯახებით იუწყებიან
ანა დავითის ასულ მჭედლიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 22-XI, 8 ს. გამოსვენება 23-XI, 4 ს. პაპანინის III ჩიხი № 15.

ძმა ტერენტი, რძალი ევდოკია შვილებით: ალექსანდრე, მირიან, მარო, გუგული ლატარიები, სიძე ა. თოფურია იუწყებიან
ნიკოლოზ ლუკას-ძე ლატარიას
გარდაცვალებას. გამოსვენება 23-XI, 4 ს